თამაშით ინტერვენციის და მშობლის ჩართულობის გავლენა პედიატრიული პაციენტების გამკლავებაზე ჰოსპიტალიზაციის განმავლობაში

თათია თოფურია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

14 ივნისი, 2024 წელი

აბსტრაქტი

პედიატრიული პაციენტების ჰოსპიტალიზება ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის სტრესთან დაკავშირებულ გამოცდილებას წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა სახის შიშების, შფოთვებისა და უარყოფითი ფიქრების სახით ვლინდება. უკვე არსებული კვლევების მიხედვით, ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლისა და კომპეტენტური პირის ჩართულობა, რომელიც იზრუნებს აღნიშნული გამოცდილების შემსუბუქებაზე. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ფსიქო-სოციალური მომსახურების პროგრამა, რომელიც მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაშია გავრცელებული, ხოლო საქართველოს მხოლოდ ერთ კლინიკაშია დანერგილი. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულები არიან ჩაილს ლაიფ სპეციალისტები და ზრუნავენ ბავშვებისა და მშობლების კლინიკის გამოცდილების შემსუბუქებასა და მის გაუმჯობესებაზე სხვადასხვა მიდგომების, მშობლის საჭიროებებზე მორგებისა და თამაშით ინტერვენცის საშუალებით, რომელიც მოიცას თამამაშის ისეთ სპეციფიკურ სახეებს, როგორებიც არის - ნორმატიული თამაში, სამედიცინო თამაში და თერაპიული თამაში. წინამდებარე კვლევის მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს, თუ როგორია მშობლის პერსპექტივიდან კლინიკაში მყოფი ბავშვების გამოცდილება, რა როლი აქვთ ჩაილდ ლაიფ სპეციალისტების ჩართულობას კლინიკის გამოცდილების გაუმჯობესებაში, როგორ მოქმედებს თამაშით ინტერვენცია ბავშვზე და რა როლი აქვს მშობლის ჩართულობას ბავშვის ჰოსპიტალიზებასთან გამკლავებაში.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რესპოდენტებს ჩაუტარდათ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, კვლევის რესპოდენტთა რაოდენობა იყო 16 მშობელი, რომელთა შვილებსაც ჰქონდათ კლინიკაში ყოფნის გამოცდილება სხადასხვა სამედიცინო მიზეზების გამო, მონაწილეთა ნაწილი საუბრობდა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის გამოცდილებაზე, სადაც ბავშვების მკურნალობის პროცესში ჩაილდ ლაიფ

სპეციალისტები იყვნენ ჩართული, ხოლო ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კლინიკაში ბავშვის ჰოსპიტალიზების გამოცდილებაზე, სადაც არ იყვნენ ჩართული ჩაილდ ლაიფ სპეციალისტები.

კვლევის შედეგების თანახმად, კლინიკათა უმეტესობაში საკმაოდ მაღალი იყო ბავშვის სტრესის დონე, შიშები, შფოთვები და სამედიცინო გამოცდილებასთან დაკავშირებული უარყოფითი ფიქრები. რაც გამოწვეული იყო სამედიცინო გუნდის მიერ გამოყენებული შეუსაბამო მიდგომების, კლინიკის გარემოს მოწყობის, მშობლის ინფორმირების ნაკლებობისა და მულტიდისციპლინური გუნდის არარსებობიდან. იქ, სადაც ჩაილდ ლაიფ სპეციალისტები ჩართული იყვნენ შესაბამისი მიდგომებითა და თამაშით ინტერვენციით ბავშვებში ბევრად უფრო დაბალი იყო სტრესის დონე. ასევე კვლევის შედეგად დადასტურდა მშობლის ჩართულობის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ჩაილდ ლაიფ სპეციალისტების მიერ მშობლებისადმი გამოხატული მხარდაჭერის როლი, რომელიც ასევე მოქმედებდა ბავშვის ჰოსპიტალიზების გამოცდილებაზე.

შესაბამისად კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა თუ როგორი გამოცდილება აქვთ სხვადასხვა კლინიკაში მყოფ ბავშვებს, რამდენად მნიშვნელოვანია ჩაილდ ლაიფ სპეციალისტების, მათ მიერ გამოყენებული ინტერვენციის და მშობლის ჩართულობა ბავშვის კლინიკის გამოცდილებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბავშვის ჰოსპიტალიზების გამოცდილება, ჩაილდ ლაიფ სპეციალისტები, თამაშით ინტერვენცია, ნორმატიული თამაში, სამედიცინო თამაში, თერაპიული თამაში, მშობლის ჩართულობა.

Abstract

Hospitalization of pediatric patients is a stressful experience for children and their parents, manifesting in various fears, anxieties, and negative thoughts. Existing studies emphasize the importance of involving parents and a competent person to alleviate this experience. For this purpose, a psycho-social services program has been developed and is widespread in many countries, although it has been implemented in only one clinic in Georgia. Child Life specialists, who are integral to this program, aim to improve the clinic experience for children and parents through various approaches, including adapting to parental needs and play interventions such as normative play, medical play, and therapeutic play. This study investigates the experiences of children in clinics from the perspective of their parents, the role of Child Life specialists in improving these experiences, the impact of play interventions on children, and the role of parental involvement in managing the hospitalization of their children.

A qualitative research method was used, involving semi-structured interviews with 16 parents whose children had been hospitalized for various medical reasons. Some participants discussed their experiences at Joe Ann University Hospital, where Child Life specialists were involved, while others described their experiences in different clinics in Georgia where such specialists were not present.

The study found that in most clinics, children experienced high levels of stress, fears, anxieties, and negative thoughts related to their medical experiences. These negative emotions were attributed to inappropriate approaches by the medical team, the clinical environment, lack of information provided to parents, and the absence of a multidisciplinary team. Conversely, in clinics where Child Life specialists were involved and appropriate play interventions were used, children exhibited significantly lower levels of stress. The research also highlighted the crucial role of

parental involvement and the support provided by Child Life specialists, which positively influenced the child's hospitalization experience.

In conclusion, the study determined the types of experiences children have in different clinics, the importance of Child Life specialists and their interventions, and the significant role of parental involvement in the child's clinical experience.

Key words: child's hospitalization experience, Child Life specialists, play intervention, normative play, medical play, therapeutic play, parent involvement.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჯო ენის საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომლებს, რომლებიც დამეხმარნენ პაციენტების მშობლების საკონტაქტო ინფორმაციის მოწოდებასა და მათ კვლევაში მონაწილეობაზე დათანხმებაში.

ასევე განსაკუთრებული მადლობა თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის, რადგან მათ გარეშე კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა.